ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №53

აბაშა, 2023 წლის 10 ნოემბერი

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 ნოემბრის მორიგი №13 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ი“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. დამტკიცდეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 ნოემბრის მორიგი №13 სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 10 ნოემბრის მორიგი №13 სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

   მომხს. გ. ხოშტარია

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ - საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, გადაცემასთან დაკავშირებით, აბაშის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ.

   მომხს. ლ. მელაძე

3. აბაშის მუნიციპალიტეტში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან" დასაფინანსებელი პროექტების საპროექტო წინადადების მოწონების შესახებ.

მომხს. ი. კიზირია

4. აბაშის მუნიციპალიტეტის 2023 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

მომხს. თ. ნოდია

5. აბაშის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის განვითარების სამსახურის ანგარიში, 2023 წელს 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს. შ. დარცმელიძე

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს სენაკის რაიონულ სასამართლოში მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისამართი: ქ. სენაკი, რუსთაველის ქ. №247).
3. განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

მოვალეობის შემსრულებელი: ველა ხოშტარია